

Handwritten text at the top right, possibly a title or reference number.

1920

Handwritten text in the upper middle section.

330 # 3062

1920

Handwritten notes in a circular stamp or seal on the left side.

Large handwritten signature or name on the right side, including the letters 'NIO'.

Small handwritten mark or signature at the bottom right.





საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს ორგანო.

# „მკაზი და ღვინო“

575Y

წელიწადი ჰირველი.

№ 1

15 თებერვალი 1920 წ.

№ 1

## შ ი ნ ა ა რ ს ი :

1. მეთაური
2. რა გააკეთა მეღვინე-მევენახეთა კონგრესმა ამ დღეებში და რა უნდა მოხდეს შემდეგში
3. საქართველოს რესპუბლიკის მევენახეთა და მეღვინეთა პირველი კონგრესის დადგენილებანი
4. შაბიაშან გოვირდის საკითხი
5. საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭოს მოქმედება.
6. საყურადღებო ცნობები.
7. ფოსტა.
8. შეკითხვა-პასუხი.

ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

ვ. ი. რცხილაძე.

გ. წინამძღვარი.

### ჟურნალის გამოცემის პირობები:

ჟურნალი წარუერთობათ გამოვა ორ კვირაში ერთხელ, ანუ საკლებ 16 კუკრდისა. თათო ნომრის ფასი საბჭოს მიერ განსაზღვრულია — 10 მან. ხმ ფასით ჟურნალს გამოაწერ შეიძლება სამი თვით.

ჟურნალის რედაქცია იმყოფება საბჭოს ბინაზედ — თბილისი, პარიატინსკის ქუჩა, № 5.



საბჭოთა კავშირი  
კახეთის რეგიონი



Кახетинское Кооперативное Вино

• **СОЮЗЪ СОЮЗОВЪ** •  
Виноградарей Кახეთи.

ТИФЛИСЪ

ГОЛОВИНСК. ПР. № 33 Д. ТАМАМШЕВА, ТЕЛЕФ. №  
КАХЕТИЯ: СТ. МУХУЗАНЬ, КАХ. ЖЕЛ. ДОР.

თ ბ ი ლ ი ს ი. რუსთაველის ქუჩა № 33.

კახეთი, სადგური „მუკუზანი“, კახეთის რკინის გზა.

„კავშირთ-კავშირი“ დაარსებულია 1918 წელს. წესდება დამტკიცებულია თბილისის საოლქო სამართლოს მიერ 8 თებერვალს 1919 წელს.

„კავშირთ-კავშირი“ შედიან ველიწყისის, გურჯაანის და კარდენახის შემხახველ კამსესხებელი ამხანაგობანი — 4400 წევრით, რომელთაც 4200 დეესცინა ვენახი აქვთ

„კავშირთ-კავშირის“ გამგეობა, მთავარი კანცორა და საწყობი მოთავსებულია საკუთარ ბინაზედ სადგურ მუკუზანთან კახეთის რკინის გზისა.



### ტფილისი, 15 თებერვალი 1920 წ.

სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო დიდის აღტაცებით მიულოცავს საქართველოს მეღვინე-მევენახეთ და ყველა საქართველოს შვილებს პარიზის კონფერენციის უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის დიადი აქტის აღიარების გამო. თორმეტი იანვარი საქართველოსათვის დიდი ისტორიული დღეა; იგი არის საქართველოს სახელმწიფოს „აღდგომის“ დღე. საუკუნოზნე მტეი თავისუფლების დაკარგულმა მან ხელახლა მოიპოვა საპატიო ალაგი ყველა ერთა-შორის.

ამიერიდგან საქართველო მტეის ენერგიით, მტეის ძალღონით და მტეის დაკვირებით უნდა შეუდგეს შინაურ საქმეების მოწყობისთვის. მტეი უფლებს გვაძლავს მტეის პასუხისმგებლობას. დაუღალავად მუშაობა გვპარტებს, უნდა ვიხმართ ყველა ძალეი საქართველოს ეკონომიური აღორძინებისთვის და განმტეიციებისთვის. საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობა სასოფლო მეურნეობაშია და მის აყვავებას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. ამ დარგში მევენახეობა შეადგენს იმ გვარ წარმოებას, რომელზედაც დამყარებულია დიდძალი მცხოვრებთა სიმდიდრე და მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო ჰგარძნობს იმ დიად პასუხისმგებლობას, რომელიც მას შიუძღვის ამ სასოფლო-მეურნობის წარმოების შესვეურების მიღებით.

საქართველოს „აღდგომის“ დღიდან მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო გარკვეული ენერგიით მიესწრება თავის მოვალეობის აღსრულებისაკენ.

სხვათა შორის მან დაისახა მიზნათ და შეუდგა მეღვინე-მევენახეობის ყურნალის გამოცეკს. ეს ჟურნალი, სახელღობრ „ვაზი და ღვინო“ იბადება ბრწყინვალე საქართველოს „აღდგომის“ დღის და; მეორეს მართ-კი, სამწუხაროდ მაშინ, როდესაც საქართველოს მევენახეობა კრიზისისგანიცდის. ფელოქსერა და სხვა მრავალგვარი ვაზის სნეულეებანი წლით-წლობით იმსხვერპლენ ვაზს და მოსავალს; ვენახის დასამუშავებელი და საწამლავი მასღეები, იარღები და მუშა იმდენად გაძვირდა და საშონელად გაძნელდა, რომ მევენახევერ გასძღლია ხარჯს; ამასთანავე ჩენი ღვინის ბაზარი შევიწროვდა; ეს 2-3 წელიწადია, რაც რუსეთი თითქმის სრულიად მოწყვეტილია საქართველოს და მხოლოდ ბაქო-ბათუმზედ დამყარებულია სამღღარ გარეთ ღვინის გატანა. შინა ბაზარზედაც აზერბაიჯანის და ერენის შედარებით იაფი ღვინო ადვილად უწევს მტეოქეობას საქართველოს ღვინოს. ამ მტეოქეობას, როგორც შინა, აგრეთვე გარეშე ბაზრებზედ, ადვილებს არსებული სახელმწიფოებრივი წესები ღვინის გატან-შემოტანისა. ამასთანავე, ხანგარძელმა ოკმა და რევოლიუციამ თითქმის სრულიად დააზო წინანდელი სახელმწიფოებრივი მევენახეთა დამხმარებელი დაწესებულებანი და ზომები, და ყველა ეს პირობები განსაკუთრებულ საყურადღებო მომავალს უშუადებენ ისეც დაქვეითებულს საქართველოს მევენახეობას და მეღვინეობას.

ეს გათვალისწინებული მოსაზრებანი საფუქელად დაედვა სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობის (კონგრესის) მოწვევას შარშან-ნოემბერში. საქირო იყო; რომ საქართველოს მეღვი-



ნე-მევენახეთა საერთო ყრილობაზე გამოკვლეულიყო მათი ამდროული ქირვარაჲ და მოთხოვნილებანი.

ნოებრის კონგრესს ყველა საქართველოს კუთხის მეღვინე-მევენახეთა წარმომადგენელი დაესწრო მათ შორის შესამჩნევ ნაწილს შეადგენდა გლეხთა მევენახეთა წარმომადგენლობა. ამ ფართო ყრილობამ საესებით განიხილა ყველა მეღვინე მევენახეთა საყურადღებო საკითხები და დაადასტურა ის ამდროული მეღვინე-მევენახეთა მდგომარეობა, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ.

კონგრესმა ერთხელ აღიარა, რომ მხოლოდ საქართველოს მეღვინე-მევენახეთა გაერთიანებული ძალებით შეიძლება სათანადო ურთიერთი დახმარება, რომ აღძრულ დიად საკითხებს გაძლიერდა და პატრონობა უნდა, რომ თვით მევენახე-მეღვინეთაც მკოდნე და სანდო მძოლველი ექორება, რათა მათ მიეწოდოს ყველა მათთვის საყურადღებო და სასარგებლო ცნობები და ცოდნანი ამ მიზნით კონგრესმა სცნო საჭიროდ და დააარსა მისდამი არჩეულ პირთა შემადგენლობით სრულიად საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო, რომელიც მანაათვე შეუდგა თავის მიზნის და კონგრესისაგან დავალებების აღსრულებას. საბჭომ; სხვათა შორის, სცნო, რომ მის მოღვაწეობა მით უფრო ნაყოფიერი და მიზანშეწონილი იქნება, რაც იგი უფრო დაუახლოვდება და მუდმივ კავშირს იქონიებს თვით მეღვინე-მევენახეთათან.

ამ გვარი კავშირი, საბჭოს აზრით, სავსებით მისაღწევი შეიქნება მხოლოდ სათანადო ჟურნალის გამოცემით და მის მეღვინე-მევენახეთა შორის გავრცელებით.

საბქოსიერ დაარსებული ჟურნალი „ვაზი და ღვინო“, სხვა და სხვა თინანსიური და საორგანიზაციო პირობების გამო, ჯერჯერობით გამოვა ორ კვირაში ერთხელ, მხოლოდ საბქო მიესწრაფება, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში იგი გადაიქცეს ყოველკვირეულად.

ჟურნალი „ვაზი და ღვინო“ შეეხება საქართველოს მეღვინეობის და მევენახეობის ყველა საკითხს. იგი ისახავს მიზნით, რომ რაც შეიძლება მოკლედ და ადვილად გასაგებ ენაზედ მიაწოდოს შკითხველს ყველა საკითხი და ცნობის ანუ ცოდნის შინაარსი. ჟურნალს ექნება პრაქტიკული ხასიათი და მისი შინაარსი შეეხება როგორც მიმდინარე საკითხების გაშუქებას და მეღვინეობაში და მევენახეობაში ახალი ცოდნების გავრცელებას, აგრეთვე პრაქტიკული ცნობების მევენახეთა მიწოდებას; მასში მოთავსებულ იქნება ვაზის და ღვინის საშუაო და საწაშლებელი იარაღების, მანქანების და მასალების ფასები, საშუალებანი მათი შექმნისა, ფირმების განცხადებანი და სხვა. ჟურნალი შეეხება ყველა სახელმწიფოსადმი მიღებულ მეღვინე-მევენახეობაში ზომებს და აღნიშნავს მათ მნიშვნელობას. იგი აღძრავს ყველა საჭირობოტო და საყურადღებო საკითხს, გამოიკვლევს და გააშუქებს მათ, რათა მიაქციოს მათზედ ყურადღება ვისიც ჯერ არს. ჟურნალი აგრეთვე მუდმივ მიაწოდებს საქართველოს მეღვინე-მევენახეთ მათგან დაარსებულ საბქოს მუშაობის ცნობებს და შექმნების და გვარად პასუხს გასცემს იმ კითხვებზედ, რომელნიც იქნებიან მისდამი მიმართულნი სხვა და სხვა ადგილებიდან და მკითხველებისაგან.

მაგრამ, რომ ჟურნალის მიზანი და მიწრაფება სავსებით იყოს შესრუ-



ლებული, რომ მისი ძირითადად სურვილი და მოთხოვნა რათა იქონიოს მედივი კავშირი თვით მედივინტეგრანხეთთან, საჭიროა, რომ მათ გაუწიონ ჟურნალს რაც შეიძლება ფართო დახმარება და მიაწოდონ მას ადგილობრივი ცნობები, საკითხები, გაჭირვებანი და პრაქტიკულად გამოკვლეული ცოდნანი.

საბჭოს გათვალისწინებული აქვს ის ფინანსური და სხვა მრავალგვარი გაჭირვებანი, რომელნიც გაუძნელებენ მას ამ ჟურნალის სათანადო გამოცემას, მაგრამ იგი მიინც ვერ გადუხვევს ჟურნალის აუცილებლობის გზას და იმედოვნებს, რომ ყველა შეგნებული საქართველოს მედივინე და მევენახე არ მოაკლებს მას მოხსენებულს დახმარებას და განახორციელებს ჟურნალთან და საბჭოსთან იმ კავშირს, რომელშიც არის მკვიდრი საფუძველი ჟურნალის, საბჭოს და თვით მედივინე-მევენახეთა მიზნის და მისწრაფების ნაყოფიერი შედეგისა.

#### ი. ზ. ანდრონიკაშვილი.

რა გააკეთა მედივინე-მევენახეთა კონგრესმა ამ დღეებში და რა უნდა მოხდეს შემდეგში.

რუსეთის რევოლიუციას მოჰყვა თან ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობა და ძველი რეჟიმის მაგიერ დემოკრატიული პრინციპების გამოცხადება — ხალხის ცხოვრების თვით ხალხისვე მიერ გამგებლობა, თვითმართველობა.

რაც მოხდა ამას დამკვიდრება სჭირდება: — პოლიტიკურ დამოუკიდებლობას საბოლოოდ შენარჩუნება და დემოკრატიულ პრინციპებს — ცხოვრებაში გატარება.

ასის წლის მონობის შემდეგ მოულოდნელად განთავისუფლებული ქართველი ხალხი თავისი მდგომარეობით დაედარა ადამიანს, რომელიც თვალეხვეული გაიყვანეს მისთვის უცხო ტრიალ მინდორზე, ახსნეს თვალთსაკრავი და არ იცის პირველ წაშს საით წავიდეს.

ეგ შენა და ეგ შენი ყოფა-ცხოვრებაო, ეუბნება ხალხს ახლად დამდგარი დრო. დასაბამიდან მეურნეობაში შეხდილი ქართველი ხალხიც ამერიდგან საკუთარი იწყობს თავის მომავლისათვის ზრუნვას.

ჯერ შეიყარნენ აქს წინად საქართველოს უდიდესი სამეურნეო დარგის — მევენახე მედივინეობის წარმომადგენელი მეურნეები, რამდენიმე დღის განმავლობაში ბკობდნენ, გამოარკვიეს შეძლებისდაგვარად თავიანთი დარგის საჭიროებანი, დაასახელეს ზოგიერთი სათანადო ზომები ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, აირჩიეს დროებითი საბჭო და მიანდეს მას ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებების ცხოვრებაში გატარება.

ახლა ესევე ხდება სახალხო მეურნეობის სხვა დარგებშიც.

მესაქონლეებმა, მეზარეულმეურნეობის და მეფუტკრეობის წარმომადგენელებმა და აგრეთვე სხვა სამეურნეო დარგების მეურნეებმაც და მოხელეებმაც უნდა გამოარკვიონ ურთიერთ შორის თავ-თავიანთი მეურნეობის აწინდელი მდგომარეობა, გაიკვილონ გზა წარმატებისა და შეუდგნენ მუშაობას მთელი თავიანთი ძალ-ღონით.

როდესაც მშრომელი ხალხი ასე დარაზმდება და თითოეული ჯგუფი შეუდგება თავის სასპეციალო დარგის ზედმიწევნით შესწავლას, ნამდვილი მკოდნე და სრული კომპეტენციით აღჭურვილი მეურნეცა და მოხელეც მაშინ გვეყოლება და ჩვენს წარ-



მოგებასაც და მაშასადამე მთელს ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებასაც მაშინ შეეტყობა წარმატება და ნაყოფიერობა.

გარეშე ზრუნვა და აპეკუნობა აღარავისი აღარ დაგვიკირდება მაშინ.

იქნება სთქვან, როგორ შეიძლება მთელი ხალხის ასე რაზმებად დაყოფაო, განა ცოტაა ისეთი, რომ ერთ და იგივე დროს მევენახეც არის და მესაქონლეც, მზენელ-მთესველიც და რომელიმე ხელობის მკოდნეც.

მართალია, ზოგმა მაგალითად შეიძლება მარტო ვენახის მოვლა იკოდეს და საქონლისა კი არა გაეგებოდესრა, ვერც ურემი ინდოს, ვერც ფური მოსწველოს, და ვერც გაოსაქნელი გამოქანას, მაგრამ მომეტებული ნაწილი სოფლის ხალხისა კი მაინც ასეთია—თვისთვის ყველა მევენახეც არის და მესაქონლეც...

ამიტომ, არც ერთი ხელობა იცის მან კარგად და არც მეორე.

მახსოვს, ერთ ქარხანაში, სადაც ვველა მუშები დარგებათ იყვნენ დაყოფილნი, ზოგი მარტო რანდავდა რკინას, ზოგი ჩარხავდა, ზოგი რას აკეთებდა, ზოგი რას,—მოვიდა შაფათ ღდეს ერთი მუშა ხელოსანი და საშუაო ადგილს სთხოვდა ქარხნის პატრონს. ამ უკანასკნელმა კითხა, რა ხელობა იციაო. მთხოვნელმა უპასუხა, რა ხელობაზედაც დაჰყენებ ვიშუშავებო.

მაშინ ქარხნის პატრონი მიუბრუნდა თავის მუშებს და უთხრა: ღდეს შაფათია, მუშაობა ორ გაათაოთ, ვისაც რა გერგებათ, მიიღეთ სრულად და ორშაფათიდან ნულა მოხვალთ საშუაოდ, რადგან აი ეს ახალი ხელოსანი შოვა და ყველაფერს გაიკეთებებსო.

ასე დასცინა ქარხნის პატრონმა ადგილის მთხოვნელს. მუშას და დაითხოვა,—

მე მაგისთანა ხელოსანი, რომელმაც ყველა ხელობა იცის, არ მინდაო.

მართლაც და ყოველი სამეურნეო ანუ სახელოსნო დარგის შესახებ იმდენი ცოდნა დროთაგანმავლობაში გამოცდითა და დაკვირვებით მოგროვილი, რომ ადამიანმა ნეტაიერაიან ორი დარგის შესწავლა შესძლოს სავსებით.

მართალია, ჩვენზე დაწინაურებულ ქვეყნებში იშვიათად შეხვდებით რომ სოფლის მეურნე ერთ რომელიმე დარგს მეურნეობისას მიხედვეს მარტო, პირიქით მისი მეურნეობა შეიცავს რამოდენიმე დარგს, თხოლოდ ერთს ან ორს მათგანს სთვლის იგი მთავარ დარგებათ და დანარჩენებს კი არაუშთავრესად.

მეურნის ცოდნაცა და ხელოვნებაც ასეთი უნდა იყოს. მთავარი დარგი თავის მეურნეობისა მას უნდა ზედმიწევნით ქონდეს შესწავლილი ისე, რომ სხვას მისგან ესწავლებოდეს ამ დარგში მუშაობა, ხოლო დანარჩენ დარგების წარმოება კი შესძლოს ამ დარგებში გამოცდილ მეურნეთა მიბაძვით...

პროგრესი მეურნეობისა თხოლოდ მსოფლიოს გასპეციალებას არა მარტო ისეთ დიდ დარგებში როგორც არის მევენახეობა, მესაქონლეობა, ხენა-თესვა და სხ., არამედ ამ დარგების თითოეულ შტოშიაც. ვენახის კარგი მსხველელი შეიძლება კარგი მთონნაგი ვერ იყოს, მეცხვარემ მეძროხეობა ვერ შესძლოს და კარგმა ყანის მკელმა—გუთნისდებობა.

ერთი რომელიმე დარგი მეურნეობისა კი მეურნემ უნდა შეისწავლოს კარგად, რომ კერძოდ მისი და საერთოდ მთელი ხალხის მატერიალური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ვ. რცხილაძე



საქართველოს რესპუბლიკის მშენებანეთა და მე-  
ღინეთა პირველი კონგრესის დადგენილებანი  
(23—27 ნოემბერი 1919 წ.)

I. მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ა.

მომხსენებლები: პ. ავერკინი, ტ. ბააკა-  
შვილი, კ. მ. ბერეკაშვილი, ა. ა. ეგო-  
როვი, გ. წინამძღვრ-შვილი, ს. ნ. ტი-  
მოფეევი, ნ. ი. ნიკოლაძე, ს. ჩოლოყა-  
შვილი, მ. ა. წულუკიძე, ა. დ. მაჩაბელი,  
კ. ნაკაშიძე, გ. ბერიშვილი, ნ. მაქარაშვი-  
ლი და ე. კ. ნაკაშიძე.

კონგრესმა დაადგინა:

1. მევენახეობა - მეღვინეობის განვი-  
თარებისათვის ჩვენში საჭიროა მიექცეს  
განსაკუთრებული ყურადღება სპეცია-  
ლურ ცოდნის გავრცელებას დაბალი და  
საშუალო სკოლების დაარსებით, ზებირ-  
სიტყვიერი ბაასით, სამაგალითო და სა-  
ნიმუშო სადგურთა და მოძრაი ლექციე-  
ბის მოწყობით.

2. მევენახეობა — მეღვინეობის განვი-  
თარება ჩვენში შეფერხებულია აგრეთვე  
სტატისტიკური ცნობების უქონლობით  
სხვა და სხვა საკითხების გასაშუქებლად,  
ამიტომ აუცილებლად საჭიროა, რომ  
ცენტრალურმა სასტატისტიკო კომიტეტ-  
მა განსაკუთრებული ყურადღება მიაქ-  
ციოს მევენახეობა-მეღვინეობის სტატის-  
ტიკას.

3. რადგან ვაზის უსაშინელოს მტერ-  
თან, ფილოქსერასთან, ბრძოლა საქარ-  
თველოში თითქმის შეჩერებულია და  
ფილოქსერის შიში ჩვენი მევენახეობი-  
სათვის მეტად დიდია, მით უმეტეს კახეთ-  
ში, კონგრესი საჭიროდ სცნობს დაუყო-  
ნებლოდ მიღებული იქმნეს ზომები ფი-  
ლოქსერასთან საბრძოლველად, ამისათ-  
ვის საჭიროა:

ა) დაარსდეს სამინისტროს, ერო-  
ბების, მევენახეთა კოოპერატივე-  
ბის და აგრეთვე კერძო თაოს-  
ნობის მიერ (უკანასკნელი მხო-  
ლოდ (სადგურების კონტროლ  
ქვეშ) ამერიკული ვაზის სანერ-  
გეები;

ბ) შეკრებილ იქმნას პრაქტიკით სა-  
ქართველოში გამორკვეული ცნო-  
ბები ამერიკული ვაზის საძირე-  
ბის შესახებ და მოეწყოს საცდე-  
ლი სანერგეები; მათ მოწყობის  
დროს აუცილებლად ჯეროვანი  
ყურადღება უნდა მიექცეს საც-  
დელ საქმეს;

გ) მოეწყოს გამოკვლევა და აღნიშ-  
ნულ იქმნეს სხვა და სხვა სავე-  
ნახე მიწების ტიპები და გამოი-  
ცეს ნიადაგის სათანადო რუქა;

დ) საჭიროა სახელმწიფომ აღმოუ-  
ჩინოს მევენახეთ დახმარება ვე-  
ნახეების აღდგენის მიზნით;

ე) მცნობის სხვა და სხვა წესთა შო-  
რის ყურადღება მიექცეს რიხტე-  
რის სისტემით მცნობას, რომლის  
გავრცელება ჩვენში სასურველია.

4) მოეწყოს მიკოლოგიური გამოკ-  
ვლევა ვაზის სოკოგბრივი სნეულბე-  
ბისა.

5) მიღებულ იქმნას მხედველობაში  
თეზისები 1914 წ. ლიონის საერთა-  
შორისო მევენახეთა კონგრესის მიერ მი-  
ღდიუსთან ბრძოლის შესახებ აღნიშნული.

6) საჭიროა მოწესრიგდეს ვაზის სა-  
წამლებელი მასალებით და იარაღ-მანქა-  
ნებით მევენახეთა ფართოდ დაკმაყოფი-  
ლება; ამ საქმის მოწყობა უნდა იკის-  
რონ მთავრობამ, ერობებმა და კოოპე-  
რატივებმა.



7) რადგან სეტყვასთან საბრძოლველ საშუალებათა შორის ვერც მეცნიერება და ვერც პრაქტიკა ჯერ ჯერობით ვერც ერთ უდავო საშუალებაზედ ვერ გაჩერდა, კონგრესს აუცილებელ საქიროებად მიაჩნია მოეწყოს ვენახების სეტყვი აგან ურთი ერთ შორის დაზღვევა სახელმწიფოე რიგ მასშტაბით. აგრეთვე სასურველია სწარმოებდეს გამოცდები ყველა იმ საშუალებათა, რომლითაც ებრძვიან სეტყვას. განსაკუთრებით კი შუშხუნებისა, რომელიც ვერაპაში დღესდღეობით ცნობილია საუკეთესოდ.

8) საქიროა მოიფინოს მიზან შეწონილად მთელი საქართველო მეტეოროლოგიური სადგურებით და ეს უნდა იკისრონ მთავრობამ, ერობებმა, რკინის გზამ და სხვა და სხვა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა.

9) რადგან საქართველოში ზოგიერთ მაღალ ხარისკოვან ვაზის ჯიშებს მოელის მოსაპობა სხვა და სხვა სენისაგან და მანებლებისაგან, საქიროა მათი მოგროვება, გამოკვლევა და შესწავლა, რაც უნდა იკისროს მიწადმოქმედების სამინისტრომ და სხვა და სხვა სავენახე რაიონებში დაარსოს ვაზის ჯიშების სანერგეები.

10) კონგრესმა სცნო, რომ საქართველოს შეევნახეობას, და მეღვინეობას სკიროა მრავალგვარი დახმარება, რომლის ყოველმხრივი დაკმაყოფილება ვერ ძალუძს შარტო ცენტრალურ სახელმწიფოებრივ დაწესებულებას; შეევნახეთა და მეღვინეთა ინტერესები მოითხოვენ, რომ მათი შეკრებულნი ძალებით დაარსებულ იყოს საკუთარი ცენტრალური ორგანო, რომელიც ვაუჭდებთა შეევნახეობის და მეღვინეობის საქმეს.

II. მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა

მომხსენებლები: ა. ა. ეგოროვი, გ. წიწამძღვრიშვილი, ვ. რცხილაძე და ე. კაკულია.

კონგრესმა დაადგინა:

1. როგორც მწარმოებელთა ისე სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვენ ღვინის ექპორტის განვითარებას, რისთვისაც კონგრესი აუცილებელ საქიროებათ აღიარებს ჩვენი მეღვინეობის ტექნიკის განვითარებას, ღვინის ტიპის გაუმჯობესებას და მის დაახლოვებას გარეშე მომხმარებლის გემოვნებასთან.

2. მეღვინეობისა და ღვინით ვაჭრობის თანაქედროვე პირობები მოითხოვენ გავრთიანებული ძალებით მოქმედებას, ამიტომ კონგრესი საქიროდ სთვლის შევენახეთა შეკავშირებას, და ღვინეობის კოოპერატივების მოწყობას, რომელთაც სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს ფართო დახმარება სამედიოორაციო კრედიტით.

3. კოოპერატივებს, რომელთაც სურთ მოაწყონ შევენახეობასა და მეღვინეობაში საცდელი ან სამრეწველო საქმე სასურველია მიეცეთ სახელმწიფო ფონდიდან საქირო მიწები ნორმის მიუხედავად.

4. რადგან არსებული მრავალგვარი დაბეგვა ღვინეობისა სხვა და სხვა დაწესებულებების მიერ აფერხებს ღვინის ვაჭრობის შორმაღურ პირობებში წარმოებას, კონგრესი საქიროდ სცნობს კონონმდებლობის მხრით ამ საქმის მოწყობას.

5. რადგან ღვინის არსებული სიძვირე უფრო ხელს უწყობს ფალსიფიკაციის გავრცელებას და შეაქვს უწყსრიგობე ღვინის ვაჭრობაში, კონგრესი აუცილებ



ბელ საჭიროდ სთვლის ღვინის შესახებ კანონის საჩქაროდ გამოცემას, რომლის დაშუშაებაში სასურველია მიიღონ მონაწილეობა მევენახეთა და მეღვინეთა წარმომადგენლებმა.

**III. საზოგადო კითხვები მევენახეობისა და მეღვინეობაში**

მომხსენებლები: ნ. ი. ნიკოლაძე, პ. გ. მელიქიშვილი, ს. ნ. ტიშოვევი, ა. ა. ეგოროვი, დ. გელვანიშვილი, კ. ბ. მოღებაძე და გ. ჩიჩუა.

**კონგრესმა დაადგინა:**

1. საჭიროა ქალ. თბილისში დაარსდეს მეღვინეობის ცენტრალური საცდელი სადგური, განუფილებით საქარის სანერგეში და წინანდლის სახელმწიფო მამულში; ამ უკანასკნელებში უნდა მოწყობილ იქნეს საცდელი ვენახები და სარდაფები; რადგან საქარის სანერგე ამისათვის თითქმის მოწყობილია, იქმუშაობა ეხლავე იყოს დაწყებული.

2. რადგან აგრარულმა რეფორმამ იქონია მრავალ-გვარი გავლენა მევენახეობაზე და მეღვინეობაზე და ამ საქმის შესახებ მომხსენებლებმა და კამათმა წამოაყენეს ფრიად რთული და მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა გამოკვლევა და გაშუქება მოითხოვს დიდ დროსა და მასალების შესწავლას, კონგრესმა დაავალა მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობათა დროებით საბჭოს ამ რეფორმის მევენახეობისათვის საზიანო მხარეების თავიდან ასამორებლად შესაფერი ზომები გამოიმუშაოს და სათანადო შუამდგომლობები აღტაროს მთავრობის წინაშე კონგრესის სახელით.

3. სასოფლო მეურნეობაში საზოგადო და კერძო მევენახეობისა და მეღვი-

ნეობაში სამუშაო დღის განსაზღვრა შეუძლებელია, ამიტომ საჭიროა გადასინჯვა კანონისა რვა საათის სამუშაო დღი; შესახებ სასოფლო მეურნეობაში მევენახეთა და მეღვინეთა წარმომადგენლების წინაწილებით.

დასასრულ კონგრესმა ერთხმად დადასტურა პრეზიდიუმისა და საგანგებო კომისიისაგან წარმოდგენილი შემდეგი გეგმა საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ცენტრალური ორგანიზაციის დაარსების შესახებ:

1. დაარსებულ იყოს ქალ. თბილისში საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობების დროებითი საბჭო, შვიდი წევრის შემადგენლობით;

2. საბჭოს დაევალოს:

ა) კონგრესის დადგენილებათა სისრულეში მოყვანა;

ბ) საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობების ხარჯალრიცხვის და საშუალებათა დამუშავება შემდეგი საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობაზე წარსადგენათ;

გ) მოწვევა საქ. მევენახეთა და მეღვინეთა მეორე ყრილობისა არა უგვიანეს ერთი წლისა;

დ) მევენახეობაში და მეღვინეობაში თამედროვე სათანადო კითხვების შესახებ საჭირო ზომების მიღება და შუამდგომლობების აღძვრა მთავრობის წინაშე კონგრესის სახელით.

საქართველოს მევენახეთა და მეღვინეთა ყრილობების დროებით საბჭოს წევრებათ კონგრესმა აირჩია: საპატიო თავმჯდომარეთ ნ. ი. ნიკოლაძე, და წევრებათ ნ. ზ. ანდრონიკაშვილი, ლ. ა. გოგინაშვილი,



გ. ა. წინამძღვრი შვილი, ვ. ი. რცხილაძე, ს. ჩოლოყაშვილი, ი. ღ. ფორაქაშვილი, ვ. გ. ბერელაშვილი და მათ კანდიდატებათ გ. მ. ჩივაძე და ი. ბარათაშვილი.

### შაბიამან კოვტირდის სპეციოსი

საქართველოს სასოფლო მეურნეობის დარგთა შორის ყველაზედ მეტ გაქირვებაში ჩავარდა მევენახეობა, რადგან ვენახის დასამუშავებლად და მოსავლის მოსაყვანად უმთავრესად წამლობა, ანუ შაბიამანი და გოგირდი საჭირო და ეს წამლები კი მარტო უცხოეთიდან შემოდის ჩვენში. ომის წინათ შაბიამანი ინგლისიდან მოსული ბათუმში ფუთი 3 მ. 25 კ. ფასობდა, ხოლო გოგირდი მარსელიდან (საფრანგეთი), ან იტალიიდან მოსული 1 მ. 35 კ.—1 მ. 45 კ. ფუთი. შაგრამ, დაიწყო თუ არა ომი და დაიკეტა სტამბოლის გზა, შაბიამან-გოგირდმა დაიწყო საშინელი გაძვირება. უპირველეს ყოვლისა სპეკულიაცია შაბიამან-გოგირდს შეეხო. მეტადრე, რაკი უცხოეთიდან თითქმის შეუძლებელი გახდა წამლეულობის მიღება, მათი დაწხადება დაიწყო შინაურ (რუსეთის) ბაზარზედ და მევენახეს აწვდიდენ ხშირად ყოვლად უვარგის მასალას, იმასაც ძლიერ ძვირად. ძლიერ გაძნელდა რიგისანი წამლის შოვნა და ყოველ წელიწადს ძალიან ბევრი ვენახი რჩებოდა შესაწამლი, რამაც, რა თქმა უნდა, ბევრი მათგანი მთლადაც ამოავდო—აკი ამიტომ იყო, რომ მევენახე უფრო მოუთმენლათ ელოდა ომის ვათავებას იმ იმედით, რომ ძველანდებურათ სამყოფი და კარგი ღირსების შაბიამან-გოგირდი შემოვიდოდა ინგლის-იტალიიდან. მართლაც

და პირველ დღეებშივე, როცა კი უცხოეთთან სავაჭრო ურთი-ერთობის აღდგენა შესაძლებელი შეიქმნა, ცალკე მთავრობა და ცალკე კერძო პირები ყველა გვპირდებოდა მათ გაიფებას, ყველაზედ მეტად კი მთავრობა და მოსკოვის სახალხო ბანკის თბილისის განყოფილება. ამ მიზნით ბლომით შეიძინეს მათ შაბიამან-გოგირდი: მოსკოვის ბანკმა 55 ათას ფუთამდე შაბიამანი, ხოლო მთავრობამ კი 80 ათას ფუთამდე შაბიამან-გოგირდი და მაისში მათი საქონელი მოადგა კიდევ ბათუმს. ამ დროისთვის სხვა და სხვა კერძო მოვაჭრეებმაც შემოიტანეს ბათუმში წამლეულობა და მათი ფასი ჯერ 400 მანეთზედ ჩამოვიდა ფუთი (1200 მანეთიდან), ხოლო შემდეგ კი 250 მანეთადაც ჰყიდნენ შაბიამანს კერძო მოვაჭრენი. როგორც გვესმოდა თვით მთავრობასაც და სახალხო ბანკის განყოფილებასაც ამაზედ მეტი არ უღირდათ შეძენილი შაბიამან-გოგირდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 400 მანეთად ჰყიდნენ ფუთს. ჩვენც რა გვეთქმოდა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, სპეკულიაცია გადამდები სენი ყოფილა და აკი მთავრობასა და მოსკოვის ბანკსაც გადაედოთ ეს სენი და უფრო მეტადაც, ვიდრე კერძო ვაჭრებს. მთავრობამ მაისში მიღებული შაბიამანის ნაშთი ამ ერთ თვეში შეაფასა 600 მანეთად ხოლო გოგირდი კი 700 მანეთად ფუთი (ახლად შეძენილ გოგირდთან ერთად) მაშინ, როდესაც ინგლისიდან ახლად ჩამოსულ საქონელს (შაბიამანს) ბათუმში ფუთს 420 მანეთად ჰყიდიან კერძო ვაჭრები (გაზეთების კი იყო განცხადება). ყველამ ვიცით, რომ ჩვენს ფულზედ ინგლისში შაბიამანს არავინ მოგვყიდის და ამიტომ



იძულებულია ყველა შაბიამით მოვაქრემ შეიძინოს ინგლისური ფული — სტერლინგი, რომელიც მაისში, ე. ი. მაშინ, როდესაც მთავრობამ შაბიამანი მიიღო, ჩვენს ფულზედ ღირდა 200 მანეთი, ხოლო დღეს კი, ე. ი. მაშინ, როდესაც მთავრობა შაბიამანს 600 მანეთად ჰყიდის, ხოლო ახალი მოსული შაბიამანი იყიდება 420 მანეთად, იგივე სტერლინგი ღირს 800 მენეთი, ანუ ერთი ოთხად მეტი. აქედან უბრალო ანგარიში გვიჩვენებს, რომ თუ მთავრობა ფუტს 600 მანეთად ჰყიდის, ახლად მოტანილი 2400 მანეთი მაინც უნდა ღირდეს, თუნდა თვით საქონელი არ გაძვირებულიყოს თავის ადგილას ინგლისის ფულზედ, მაგრამ როგორც ვიცით 2400 მან. მაგიერ 420—450 მანეთადაც იყიდება იგი.

მევენახეს რომ საშუალება ჰქონდეს ამ 600 მანეთში მაინც მიიღოს შაბიამანი კიდევ არაფერი, მაგრამ უბედურებამ იმაშია, რომ შაბიამან-გოგირდის განაწილების წესა უარესია, ვიდრე თვით ფასი: სამინისტრო ანაწილებს შაბიამანს ლიკვიდაციის პროცესში მყოფ სასურსათო საბჭოს საშუალებით, მერე მისი პატრონი ხდება ერობათა ცენტრი, შემდეგ სამაზრო ერობა, შემდეგ სამაზრო კოოპერატივთა კავშირები, შემდეგ უფრო წვრილი რაიონის კავშირები, შემდეგ თვით კოოპერატივები და მხოლოდ ამის შემდეგ (რაც ალბად წაშლობის ვადის გასვლის შემდეგ თუ მოხდება) თვით მევენახე. რა თქმა უნდა ყველა ჩამოთვლილმა დაწესებულებამ უნდა დაადოს საქონელს ერთგვარი ხარჯი თავის სასარგებლოდ და მთელი თავისი საშინელის სიმძიმით დააწვენ ამოვარდნილ ვენახს და ყოველივე ეს ხდება მაშინ, როდესაც საკუთარი მიწად-

მოქმედების სამინისტრო გვაქვს. მაგრამ იქნებ მევენახეობა არ შეადგენდეს სახელმწიფოს საზრუნავ დარგს მეურნეობისას? ნუთუ სახელმწიფო ვენახებიც შაბიამან-გოგირდს ამ წესით და ამ ფასით მიიღებენ, ე. ი. 1000 მანეთში? ან იქნებ არ იციან ახალმა კომერსანტებმა, რომ შარშანდელი ღვინის მოსავალი ჩვეულებრივის მეოთხეზედაც ნაკლები იყო? მერე საიდან უნდა ვავილოთ წამლებსთვის დესეტინა ვენახზედ 6000 მანეთი (ექვსი ფული შაბიამან-გოგირდი ხომ საჭიროა?)? კარგია რომ ამასაც იანგარიშებდნენ.

### გ. წინამძღვარი.

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა საბჭოს მოქმედება.

ღვინის უცხოეთში გატანის საკითხი. დეკემბრის უკანასკნელ რიცხვებში მთავრობამ დააწესა უცხოეთში გასატან ღვინოზედ ყოველ ვედროზედ 125 მანეთი საწინდარი (საბადლო საქონლის შემოტანის გირაოთ) და ვედროს სამწყობურ-ქელზედ (ბოჩკაზედ) 40 მან. სულ კი 165 მან. ამის შესახებ მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭომ აღძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რომ ეს გადასახადი, რომელიც გამოიწვევდა ჩვენი მეღვინეობის მთლად დაქვეითებას, მოსპობილიყო. შუამდგომლობის პასუხად მთავრობამ გადასახადი ღვინოზედ შეამცირა 75 მანეთით (დატოვა 50 მან.), ხოლო ქურქელზედ (ბოჩკებზედ) დაწესებული 40 მან. უცვლელათ დასტოვა. საბჭო მაინც განაგრძობს მოლაპარაკებას ფინანსთა სამინისტროსთან, რომ ბაჟი-საწინდარი სრულიად მოსპოს, რაშიაც ფინანსთა მინისტრმა აღუთქვა დახმარება.



საკირო ცნობების შეკრების დროს გამოირკვა, რომ ამ საგნის განხილვა-გარკვევაში, როგორც მომარაგების, ისე ფინანსთა სამინისტროს, უსარგებლოა მთავარი საბაჟოს სრულიად ყალბი ცნობებით. საბაჟოს სტატისტიკური ცნობებით, მაგალითად 1919 წლის თებერვალში, ადერბაიჯანში (ბაქოში) გაუტანია საქართველოდან 64 ათასი ფუთი ღვინო, რის გატანასაც დასჭირდებოდა უკანასკნელი 160 ვაგონი ერთ თვეში, რაც, რა თქმა უნდა, წარმოუდგენელია, მით უმეტეს, რომ თვით ადერბაიჯანს მრავალი ღვინო აქვს და პირიქით დიდძალი ღვინო იქიდგან საქართველოში შემოდის. ამას გარდა, სწორედ იმ დროს ვაგონების ნაკლებობის გამო თბილისში არც ნავთი იყო, არც მაზუთი და ღვინისათვის 160 ვაგონი როგორ მოიცილიდა. ამიტომ საბჭომ ამ ცნობების სისწორეში ეჭვი შეიტანა და საბაჟოში ცნობების გადასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ თებერვალში 64 ათასი ფუთი კი არა, მხოლოდ 4—5 ათასი ფუთი ყოფილა გატანილი. შეცდომა წარმომდგარა იქიდგან, რომ ყოველივე სასმელები (ღვინო, არაყი, კონიაკი, შამპანიური და სხვა) სულ ერთად არის ნაანგარიშევი. ამის გარდა, 2500 ბოთლი კონიაკის მაგერ, ჯერ 25000 ბოთლ ღვინოს სწერენ შეცდომით, ხოლო მერე ამ 25 ათას ბოთლს ანგარიშობენ შეცდომითვე 25 ათას ფუთად. ასეთივე მაგალითები გხვდებით სხვა თვეებშიაც და ბათუმში გატანილ ღვინოზედა. (18 ათასი ბოთლი 17 ათას ფუთად არის ნაანგარიშევი). რა თქმა უნდა ამგვარ ყალბი ცნობებით მთავრობაც შეცდომაში შედის ისეთ სერიოზულ საკითხებში გადაწყვეტის დროს, როგორც ბაჟის საკითხი

და რომელიც სახელმწიფო ხარჯთაღორციელების შედეგაზედ დიდ გავლენას ახდენს. მით უმეტეს რომ ყოველივე ეს საკითხები რაღაც უცნაური მიზეზებით სწყდება მცოდნე და დაინტერესებულ პირთა დაუსწრებლად.

ყოველივე აღნიშნული საბჭომ მოახსენა ფინანსთა მინისტრს.

როგორც უკანასკნელ ცნობებიდან დანამდვილებით შევითქვით, ბ. ფინანსთა მინისტრმა მთავრობას წარუდგინა მოხსენება ღვინოზედ გატანის დროს საწინდროს სრულიად მოხსნის შესახებ, თანახმად საბჭოს შუამდგომლობისა.

\* \*

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა კრილობათა საბჭომ თავის პირველ სხდომაზედ 28 წარსულ გიორგობისთვის ერთხმათ აირჩია საბჭოს თავმჯდომარეთ — ი. ზ. ანდრონიკაშვილი, თავმჯდომარის ამხანაგათ — ი. დ. ფორაქაშვილი და ხაზინდრათ (დროებით) — ი. დ. ფორაქაშვილი. მღვინათ საბჭოს მიერ მოწვეულია გ. ა. ყიფიანი.

\* \*

საბჭომ 10 ქრისტიანობისთვის სხდომაზედ განიხილა რა ქ. ქ. ფოთის და ქუთაისის ღვინით მოვაჭრეთა სხვა და სხვა საჭირობორტო საკითხთა შორის თხოვნა, რომ არსებული სააქციზო გადასახადის ნორმა ქ. ფოთისათვის 15,000 მანათიდან შემცირებულ იქმნეს 7-8 ათას მანათამდე და ქ. ქუთაისისათვის სააქციზო წლიური გადასახადის ხაზინაში შეტანა და ამ გადასახადის განაწილებაც დაევალოს თვით ღვინით მოვაჭრეებს საჭირო. გარანტიით, დაადგინა: ქ. ფოთისათვის გადასახადის ნორმა იყოს მიღებული ნაცვლად 15,000



მან. მხოლოდ 10,000 მან., ქ. ქუთაისი-სათვის კი 20,000 მან. მაგივრად 12,000 მან. რაც შეეხება ქუთათურების თხოვნას, რათა სააქციო ვადასახადის განაწილება ხდებოდეს ადგილობრივი კომიტეტების მიერ, - საბჭომ ვერ სცნო შესაძლებლად ამ თხოვნის დაკმაყოფილება, იმ მოსაზრებით, რომ საერთო სააქციო წლიური ჯამის წინაფე გადაწყვეტას და ამ ჯამის გაწერვას მეღვინეთა შორის არა აქვს უპირატესობა იმ უფრო სამართლიანს და სასურველს სააქციო პრინციპთან შედარებით; რომლის ძალით აქციის გადახდილ უნდა იყოს ვაჭრობის რაოდენობის დაგვარად. საბჭომ სააქციო ვადასახადების ნორმის შემცირების შესახებ შესაფერისი თავისი დასკვნით მიმართა მთავარ სააქციო სამმართველოს.

**შაბიამან გოგირდის საკითხი.** მძაფრობის ხელში დარჩენილი (60 ათას ფუთამდე) შაბიამან გოგირდის ფასი მთავრობამ ასწია 660 მანეთადე ფუთი. ამის შესახებ მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო წარუდგა ბ. მთავრობის თავჯდომარეს შუამდგომლობით, რომ შაბიამან-გოგირდი ისევ ძველ ფასებში დასთმობოდათ მევენახეთ და ისედაც გაფუჭებული ვენახები და ძრიელ დაზარალებული წარსული წლის მცირე მოსავლით მევენახენი უკიდურეს მდგომარეობაში არ ზამდგარიყვნენ. მათ უმეტეს, რომ მთავრობის წამლეულობის გაძვირებას კერძო ვაჭრების მიერ ერთი ორად ფასების მიმატება მოსდევს, რაიც ზედმეტ 80—100 მილიონი მანათის გადახდით გვემუქრება საქართველოს მევენახეთ. ბ. მთავრობის თავჯდომარე შეჰპირდა საბჭოს შესაფერ ღონისძიების მიღებას და სათანადო სამინისტროებს უკვე შეეკითხა.

ქ. გორის მეღვინე-მევენახეთა ჯგუფის თხოვნა საბჭოსადმი, რათა მან აღძრას სათანადო თხოვნა სადაც ჯერ არს სანატარულ ვადასახადის გაუქმების ან შემცირების შესახებ, რადგან განვლილი 1919 წ. გორელებისათვის სრულიად მოუსავლიანი იყო, საბჭომ დააკმაყოფილა იმ მხრივ, რომ ამ სანატარულ ვადასახადის გაუქმებაზედ შესაფერი თავისი დასაბუთებული მოსაზრებანი მიმართა ქ. გორის თვითმართველობას.

**საქართველო სნოგები.**

საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭომ გადასწყვიტა მოაწყოს მთელს საქართველოში ადგილ-ადგილ (რაიონებში) მევენახეთა თათბირები სხვა და სხვა საჭირობო კითხვათა გამოსარკვევად და ვასაშუქებლად. პირველად თათბირები გაიშარება კახეთში. თათბირების მოწყობაში დახმარება საბჭოში სხვა ყველგან საკრედიტო ამხანაგობების გაშვებებს. შემდეგი მოგზაურობა ამავე მიზნით გადაწყვეტილია დასავლეთ საქართველოში.

მიწად მოქმედების სამინისტრო ახლო მომავალში მოელის საფრანგეთიდან ტრიდონოვის მიერ გამოგზავნილ ვენახის სხვა და სხვა იარაღს: ვერმოლოლის აპარატებს, მათ ნაწილებს, ვაზის მაკრატლებს, სამყნობ დანებს და სხვა. ვისაც მსურს მათი დაკვეთა უნდა მიმართოს სამინისტროს. უმჯობესია დაკვეთა ერობების, კავშირების ან სხვა დაწესებულებების საშუალებით მოხდეს.

სრულიად საქართველოს აკრონომიულ დახმარების მოღვაწეთა ყრილობა ვაიხ:



ხნა თბილისში კვირას 25 იანვარს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში პროფ. ს. ავალიანის თავმჯდომარეობით. ყრილობაზე დაესწრო 85 წევრი.

საქართველოს მეცხვარე მესაქონლეთა პირველი ყრილობა.

ქ. თბილისში ბ. გ. ქურულის თავმჯდომარეობით 21 იანვარს გაიხსნა და 24 იანვარს დაიხურა საქართველოს მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობა, რომელმაც განსაკუთრებული საქმიანობით, სიღინჯით და დარბაისლობით დაამთავრა თავისი ფრიად ძნელი სამუშაო. ყრილობას დაესწრო 150-მდე მეცხვარე-მესაქონლე მთელი საქართველოს სხვა და სხვა ჯგუფთა და რაიონთა წარმომადგენელი. აღსანიშნავია, რომ ყრილობის შერეული შემადგენლობა: თუშეთში-ხევსურები, ქიზიყელები, ქართლები, თათრები, გერმანელები ერთნაირად ხელს უწყობდნენ საერთო მუშაობას და ყველა ხალისით იღებდა მონაწილეობას. ყრილობამ მუშაობა დაამთავრა თავისი მუდმივ წარმომადგენელ ორგანოს არჩევით საბჭოს სახით. საბჭოში შედიან 25-მდე წარმომადგენელი სხვა და სხვა რაიონებისა, რომელნიც გამოჰყოფენ პრეზიდიუმს, 5-7 წევრისაგან შემდგარს.

ყრილობის საყურადღებო დადგენილებებს სამწუხაროდ ჩვენი ქურნალის დღევანდელ ნომერში ვერ ვათავსებთ, მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ის უღრმესი კმაყოფილება, რომელიც განვიცადეთ საქართველოს სასოფლო მეურნეობის ერთ უმთავრეს დარგთაგანს მეცხვარე მესაქონლების ყრილობის მოწვევით.

მელვინე-მევენახეთა ყრილობის შემდეგ ეს მეორე ყრილობაა, რომელიც აკავშირებს მწარმოებლებს, არკვეს და სწყვეტავს მრავალს რთულ საკითხებს ჩვენ ეკონომიურ ქაოსის გასაჯანსაღებლად და საქართველოს მეურნეობის ასაღორძინებლად. ფისურვებთ, რომ ამგვარათვე ყრილობები მოეწყობათ ჩვენ მოძმე სხვა დარგის მეურნეთ: მეთამბაქო, მებაბრეშუმე, მებხილე, მხვინელ-მთესველთ და შემდეგ ყველა ერთად შევსდგომოდეთ სამშობლოს ეკონომიურ ძალთა ამოძრავებას და მეურნეობის აყვავებას.

წრფელის იმედით მივესალმებით მეცხვარე მესაქონლეთა ყრილობას და მის საბჭოს.

<b>შაბიამანი</b> —ბაზარში	იშოვება ვაჭრებთან შექდეგ ფასებში: უცხოეთიდან შემოსული კარგი ღირსებისა	800 მ.
	ადგილობრივ დამზადებული (ატომი)	700 მ.
	ანარჩევი	600 მ.
<b>გოგირდი</b> —„ძველი“	გოგირდი (სუბლიმე)	1100 მ.
	დაფქვილი: საშუალო	1000 მ.
	„ დაბალი	800 მ.
<b>შაბიამანი</b> —მთავრობისა, თბილისში		612 მ.
<b>გოგირდი</b> —		660 მ.

**ჩვეთული შავი**—1000—1200 მ. ფუთი, თეთრი ცოტა არის ბაზარზედ იყიდება 1500—1600 მ.

**ღვინო** კახეთში საბალნე—15000—20000 მ. თბილისში ვედრო: კახური —660—700 მ. განჯური ვედრო—450—600 მ.



# ფოსტა.

კონდოლის სანერგის გამოცემა **ნ. მაკა-რაშვილს**. საქართველოს მეღვინე-მევენახეთა ყრილობათა საბჭო გათხოვთ აცნობათ მას: რამდენი ამყნეთ წარსულს წელს ამერიკული ვაზი, რა წესით, რამდენი მიიღეთ, რომელი ჯიშები (როგორც საძირე ისე საყურძნე) და რა სახით იქმნენ განაწილებულნი.

**თელავის მევენახეთა ერთს ჯგუფს**. რედაქცია სიამოვნებით ეგებება თქვენს წერილობითი რჩევას ჩვენი ჟურნალის გამოცემის შესახებ, აგრეთვე ჟურნალის სათაურის სურათის პროექტს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ჯერ ჯგრობით ტენიკურ დაბრკალებათა გამო ვერ ვცნობთ შესაძლებლათ თქვენი სურვილის დაკმაყოფილებას.

## შეკითხვა-პასუხი.

**შეკითხვა 1.** რა დროს და რამდენჯერ უნდა გადავიღოთ ხოლმე პირველ წელიწადს ადგილობრივი წესით ქვევრებში დაყენებული ღვინო. (ვაზის მუშა).

**პასუხი 1.** პირველად ღვინო უნდა გადავიღოთ როცა კი შეამჩნევთ რომ დუღილი განელდა: დაახლოებით დაწურვიდგან 7—10 დღის განმავლობაში. მეტ ხანს დატოვება ღვინისა დედაზედ ხშირად კლერტის მწკლარტე გემოს აძლევს. პირველად გადაღებული ღვინო განიცდის ეგრედ წოდებულ წყნარ დუღილს, რომლის დასრულებისას უნდა გადაიღოთ მეორეთ. ყოველ შემთხვევაში მეორედ გადაღება საჭიროა ერთი თვის განმავლობაში. ამის შემდეგ

ღვინო უნდა გადაიღოთ ყოველ ორსამ თვეში ერთხელ ლექის გამოსაცლილათ. ჰაერის ცვლილება (ტემპერატურა) ანუ სითბო-სიცივე მოქმედებს ღვინოზედაც და ამიტომ ღვინო ქვევრში მუდამ მოძრაობაშია და თუ მას ლექი აქვს, ლექიც ადის-ჩადის, ამღვრევს ღვინოს, სტეხავს და ხშირად აავადმყოფებს მას. ამიტომ (სიცხის შიშით) ზაფხულში უფრო მალ მალ უნდა გამოეცალოს ლექი. რა თქმა უნდა ღვინო უფრო ინახება ქვიტკირის გრილ მარანში ვიდრე ცის ქვეშ მყოფ ქვევრებში, რადგან მარანში ჰაერის ტემპერატურა უფრო უცვლელია. ყოველ შემთხვევაში ნოემბერში გადაღებული ღვინო უეჭველად უნდა გადაიღოთ ვაზაფხულის დამდეგს, მაგალითად — მარტის დამლევს — აპრილში, როდესაც ჰაერი შესამჩნევათ გათბება და მოხსენებული ქვევრში ღვინის მოძრაობა გაძლიერდება.

**შეკითხვა 2.** სად და რა თასებში შეიძლება შევიძინოთ კახური ჯიშები ამერიკულ ვაზზედ დამყნილი? (მევენახე).

**პასუხი 2.** ნამყენი ვაზის სანერგეები კახეთისთვის არსებობენ სოფ. ჩუმლაყში (სიღნაღის მაზრა), სადაც წელს ნამყენი არა აქვთ სრულებით (მომავალი წლისთვის კი აპირებს სიღნაღის მაზრის ერობა ნამყენის დაშაადებას), და ს. კონდოლში (თელავის მაზრა). აქ ჰქონიათ რამდენიმე ათასი ჩვეულებრივი წესით დამყნილი ნამყენი კახური სხვა და სხვა ჯიშებისა, მაგრამ ვაზი, დიდი მოთხოვნილების გამო, უკვე სულ გაყიდულა, ღერი 2 მანეთად. წრფულობით კახეთისთვის ნამყენი ვაზი სხვაგან არსად არ გვეპოვება.



კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება

# „კახეთი“-ს გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საურადადგომით, რომ ორშაბათს 1 მარტს ა. სტ. ქალ. თბილისში სჯკუთ. შენობაში კოოპერატიული ქ. № 63 დილის 10 საათზე დანიშნულია

## წევრთა საზოგადო კრება

განსახილველია.

1. წევრთა შიის გადასინჯვა.
2. განხილვა და დამტკიცება 1918—19 წლის ანგარიშისა.
3. განხილვა და დამტკიცება 1919—20 წლის ხარჯთ-ალ-რიცხვისა და მოქმედების გეგმისა.
4. გამგეობისა და საბჭოს მოხსენება.
5. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
6. წესდების ზოგიერი მუხლის შეცვლა და დამტკიცება.
7. ორი გამგეობის წევრის არჩევა ნაცვლად თავას ნებით გასულ სტ. მიხ. პაატაშვილისა და რიგით გასულ ლ. გ. სამადაშვილისა.
8. ორი საბჭოს წევრის არჩევა.
9. ერთი სარევიზიო კომისიის წევრის არჩევა.
10. მიმდინარე საკითხები

გამგეობა.

კოოპერატიული საზოგადოება

# „კ ა ზ ე თ ი“

საზოგადოება „კახეთი“ არსებობს 1895 წლიდან და ამ ჟამად 246 მევენახე ითვლება წევრად. საზოგადოება „კახეთი“-ს წევრობა შეუძლიან ყველა კახელ მევენახეს და აგრეთვე ყველა მას ვინც-კი ჩააბარებს საზოგადოებას ნამდვილ კახურ ღვინოს ყოველ - წლივ.

მთავარი კონტორა საზოგადოება „კახეთი“-სა მოთავსებულია თბილისში დამფუძნებელ კრების ქუჩა № 5. ტელეფონი № 13—23., ხოლო სარდაფი-კი გოგოლის ქუჩაზე № 63 საკუთარ შენობაში ტელეგრაფით მისამართი: თბილისი კახეთი.

საზოგადოება „კახეთი“-ს მთავარი ბაზა კახეთში ორ ალაგას „თელავში“ კახეთი“-ს ბიურო აღექსანდრე მაყაიშვილთან და კარდანახში, „კახეთი“-ს ბიურო ნიკოლოზ დარაშვილთან.

სამხედრო სამინისტროს სკამბ.